ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 2023 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებას ახდენს საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" შესაბამისად.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში პრიორიტეტებისა და ბიუჯეტში არსებული ყველა ხარჯი, რომელიც ექვემდებარება სახელმწიფო შესყიდვას, შეტანილი იქნა 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში და 20 ნოემბრამდე განთავსებული იქნა ელექტრონულ სისტემაში.

მუნიციპალიტეტის სახელმწიფო შესყიდვების გეგმა შედგება მერიის და საკრებულოს გეგმებისაგან, რომელიც შეთანხმებული იქნა მათ ხელმძღვანელობასთან და მუნიციპალიტეტის გეგმა დამტკიცებული იქნა მერის მიერ.

ბიუჯეტში სახელმწიფო შესყიდვებს დაქვემდებარებული ხარჯები შესყიდვის კლასიფიკატორის CPV კოდებისა და მონეტარული ზღვრების შესაბამისად განთავსებული იქნა სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში და შერჩეული იქნა განხორციელების მეთოდები. 2023 წლის განმავლობაში ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების, მერის ბრძანებებისა და მთავრობის განკარგულებების შესაბამისად წლის განმავლობაში კორექტირებები ხორციელდებოდა სახელმწიფო შესყიდვების გეგმაში.

სამსახური განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დროს რაციონალური ხარჯვის, არადისკრიმინაციული მიდგომის, კონკრეტული გარემოს და საჯაროობის პრინციპების დაცვას.

2023 წელში ადგილობრივი ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელდა 1 184 948,01 ლარის შესყიდვა, დადებული იქნა 134 ხელშეკრულება.

საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტით განხორციელდა 320 764,80 ლარის შესყიდვა, დაიდო 5 ხელშეკრულება.

სახელმწიფო ბიუჯეტით განხორციელდა 17 320 840,81 ლარის შესყიდვა.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N75 (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ) განკარგულებით განხორციელდა 239 544 ლარის შესყიდვა, დაიდო 1 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N277 განკარგულებით (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ) განხორციელდა 4 594.66 ლარის შესყიდვა, დაიდო 1 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის N147 (ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ) საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით და საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველსაყოფად განკარგულებით გამოყოფილი თანხით გაფორმდა 2 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით - 1 141 992,75 ლარის.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებით (საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ) ბოლო დაზუსტებით გამოიყო - 8024304 ლარი, გაფორმდა - 21 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N116 განკარგულებით (სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე) გამოიყო - 4 893 060 ლარი, გაფორმებულია - 49 ხელშეკრულება.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2476 განკარგულებით (საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ) გამოიყო 730 000 ლარი, გაფორმებულია - 31 ხელშეკრულება.

2023 წელში სულ ჩატარებულ იქნა 116 ელ. ტენდერი, მათ შორის არ შედგა 12, უარყოფითი შედეგით დასრულდა 5, შეწყვეტილია 4 ელ ტენდერი. ტენდერში მონაწილეთა რაოდენობამ საშუალოდ შეადგინა 2 მონაწილე.

ელექტრონული ტენდერებით შესყიდვას ახორციელებდა მერის ბრძანებით შექმნილი სატენდერო კომისია 5 კაცის შემადგენლობით და კომისიის აპარატი 3 კაცის შემადგენლობით.

2023 წელში ჩატარებული იქნა 76 სხდომა, განხილული იქნა 229 საკითხი.

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების შესრულებასა და მიღება-ჩაბარებების აქტების გაფორმებაზე პასუხისმგებელია მერის ბრძანებით შექმნილი კომისია (ინსპექტირები ჯგუფი):

1. ხელშეკრულებები სამუშაოთა შესყიდვაზე 4 კაცის შემადგენლობით;
2. მომსახურეობის შესყიდვაზე 4 კაცის შემადგენლობით;
3. საქონლის მიღებაზე მერიის მუნიციპალური შესყიდვების სამსახური.

სამუშაოს ხელშეკრულებების ზედამხედველობას ახორციელებს ხელშეკრულებებით აყვანილი 2 ზედამხედველი.

ინსპექტირებულის ჯგუფის დასკვნების საფუძველზე ხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვების კორექტირება, შესრულების ვადების ცვლილება და საჯარიმო სანქციების დაწესება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

2023 წელში ინსპექტირების ჯგუფის მიერ საჯარიმო სანქციები დაეკისრა 30 მიმწოდებელს, პირგასამტეხლოს თანხამ შეადგინა 20 705,83 ლარი.

2023 წელში სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებების ინსპექტირებასთან დაკავშირებით შესყიდვების სამსახურმა არაერთხელ მისცა რეკომენდაციები კომისიებს (ჯგუფებს), კერძოდ სამუშაოების ინსპექტირების კუთხით. თითქმის ყველა ხელშეკრულებით ხორციელდება კორექტირებები შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში, ზოგ. შემთხვევაში 2-ჯერ და მეტჯერ. ასევე უმეტეს ხელშეკრულებას გაგრძელებული აქვს ხელშეკრულების შესრულების ვადები, რაზედაც ზოგ შემთხვევაში არ არის მყარი არგუმენტაცია. არის შემთხვევები ვადაგადაცილებების პერიოდში, როდესაც უკვე საჯარიმო სანქცია მოქმედებს ადგილი აქვს შუალედური შესრულების აქტების გაფორმებისას. თითქმის ყველა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებზე გაცემულია გაუთვალისწინებელი ხარჯები.

აღნიშნულიდან გამომდინარე შესყიდვების სამსახური აძლევს რეკომენდაციას ინსპექტირების ჯგუფებს, იმოქმედონ საქართველოს კანონის ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის შესაბამისად და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მუხლების დაცვით.

შესყიდვების განხორციელებამდე სატენდერო კომისიის აპარატი და გამარტივებული შესყიდვების შემთხვევაში სამსახური აწარმოებს ბაზრის კვლევას, რომელიც მოითხოვს მოცულობით სამუშაოების ჩატარებას, რაც სირთულებთან არის დაკავშირებული. დასამუშავებელია მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომლის მოპოვება მიმწოდებლისგან რთულია, უნდა მოხდეს მათი დამუშავება და სისტემაში განთავსება.

შესყიდვების სამსახური თავის ფუნქციას ასრულებს 5 კაცის შემადგენლობით სამსახურის უფროსი 3 შესყიდვების სპეციალისტი და 1 ტექნიკური მუშაკი.

სამსახური ახორციელებს საკრებულოს და მერიის სამსახურების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას. მუნიციპალიტეტმა საანგარიშო პერიოდში შეუფერხებლად შეძლოს ფუნქციონირება.

სამსახურის სპეციალისტები მონაწილეობას ღებულობენ მერიის ბრძანებით შექმნილ კომისიებში. სამსახური რეკომენდაციას აძლევს საკრებულოს, მერიის სამსახურების კომისიებს შესყიდვების განხოეციელების კუთხით. სამსახურის მიერ განხორციელებული შესყიდვების ყველა დოკუმენტაცია საჯაროა და განთავსებულია ელექტრონულ სისტემაში.

სამსახური აქტიურად არის ჩართული შესყიდვების კანონის შემუშავების პროცესში, რომელიც ძალაში შედის 2027 წლიდან. სამსახური თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის ყველა სუბიექტთან. საკრებულოსთან, კომისიებთან, ა(ა)იპ-თან თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამსახური ყოველთვის ამომწურავ პასუხს ცემს მის წინაშე დასმულ შეკითხვებს.

მოთხოვნის შემთხვევაში კანონით დადგენილ ვადაში ამზადებს საჯარო ინფორმაციას და აწვდის მის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს.

მე წარმოგიდგინეთ ანგარიში 2023 წელში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის

მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი: ვლადიმერ გოგიბერიძე